საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 4 19 02078435

07/08/2019

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი)ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2019 წლის 5 აგვისტოს N60-01192172796 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.07.005.023) ასაშენებელი სარეაბილიტაციო ცენტრის შენობის კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტზე და წარმოდგენილ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტებზე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2018 წლის 26 ოქტომბრის NES91800073828 და 2019 წლის 14 მარტის NMIA91900659545 წერილებით გაიცა შესაბამისობის დასკვნა. ამჟამად წარმოდგენილ დაპროექტების დოკუმენტაციაში და განმარტებით ბარათში მოცემული მცირედი კორექტირებებით არ დარღვეულა ხანძარსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების მოთხოვნები.

დანართი: დასკვნები 3 (სამი) ფურცელი

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

საქართველო, 0114, თბილისი, ინგოროყვას ქ. № 7
ტელ: (+995 032) 2 28 78 40
ელ.ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№ 7, Ingorokva str. Tbilisi 0114, Georgia
Tel/Fax: (+995 032) 2 28 78 40
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 9 19 00659545

14/03/2019

შპს "კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის
საუნივერსიტეტო კლინიკა"-ს დირექტორს
ბატონ **ირაკლი ნატროშვილს**

ბატონო ირაკლი,

თქვენი 2019 წლის 6 მარტის №83 და 11 მარტის №85 განცხადებების პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტმა განიხილა ქ. თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №4-ში სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობის კორექტირებული პროექტი სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ქ. თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №4-ში სარეაბილატაციო ცენტრის მშენებლობის კორექტირებული პროექტი, რომელშიც ჩვენი **2018 წლის 11 დეკემბრის N ES 3 18 00085928 წერილის** შესაბამისად შეტანილი იქნა ცვლილება-დამატებები, შეესაბამება „ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტსა და „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების მოთხოვნებს.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
როინ ვარშანიძე

საქართველო, 0114, თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
ტელ: (+995 032) 2 28 78 40
ელ.ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№7, Ingorokva str. Tbilisi 0114, Georgia
Tel/Fax: (+995 032) 2 28 78 40
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

EMERGENCY MANAGEMENT SERVICE

ES 9 18 00073828

26/10/2018

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირვლადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2018 წლის 24 ოქტომბრის №60-01182972234 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 24.10.2018; №73209) პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განხილული იქნა ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.07.005.023) ასაშენებელი სარეაბილიტაციო ცენტრის შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (პროექტმა განიცადა ცვლილება, დაემატა ორი სართული) და შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების (სახანძრო სიგნალიზაცია, ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემა) დაპროექტების დოკუმენტაცია, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში.

წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციის განხილვის შედეგებით დადგინდა, რომ ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.07.005.023) სარეაბილიტაციო ცენტრის შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიმდინარე წლის 28 სექტემბრის N ES 1 18 00066350 წერილის საფუძველზე შეტანილი იქნა სათანადო ცვლილება-დამატებები, შეესაბამება სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია მშენებლობის სანებართვო პირობებში ასახული იქნეს შენობის ქვემოთ ჩამოთვლილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის აუცილებლობა, რომელთა დაპროექტების დოკუმენტაცია გონივრულ ვადაში წარმოდგენილი უნდა იქნეს განსახილველად, მათ შორის:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობა, დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობა, დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;
გ) კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა, დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;
დ) შენობაში ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობა, დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;
ე) ელექტროდანადგარების მოწყობა, დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

პატივისცემით,

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
თალაკვაძე ზურაბი